



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

11 სექტემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №277

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის სერვისცენტრი“-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ა“, „პ.ბ“ ქვეპუნქტების და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ (პრიმა) მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. სრულყოფილი საქმიანობისათვის, სათანადო სამუშაო პირობების შექმნისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის, ა.(ა.)ი.პ. „ოზურგეთის სერვისცენტრს“ გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება (მოდელი „MITSUBISHI CANTER“, გამოშვების წელი 2007, ტიპი: სატვირთო ფურგონი, ფერი თეთრი, სარეგისტრაციო ნომერი IHI-984).

მუხლი 2. ბრძანება გადგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ოზურგეთი

11 სექტემბერი 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი, ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის სახით (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 24 ივნისის №57 განკარგულება, ს/კ 237112799, პირადი №33001019343, №დ 1343364) (შემდგომში „ქონების გამცემი“) და მეორეს მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ოზურგეთის სერვისცენტრი“, რომელიც წარმოდგენილია დირექტორის ვლადიმერ სალუქვაძის სახით, (შემდგომში „ქონების მიმღები“) ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „ქონების გამცემი“ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად გადასცემს „ქონების მიმღებს“ სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას (მოდელი „MITSUBISHI CANTER“, გამოშვების წელი 2007, ტიპი: სატვირთო ფურგონი, ფერი თეთრი, სარეგისტრაციო ნომერი IHI-984).

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

„ქონები გამცემი“

„ქონების მიმღები“

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ავთანდილ სურგულაძე

ვლადიმერ სალუქვაძე